სახალხო გაზეთი

№ 515 ხუთშაბათი, 2 თებერვალი 1912 წ. № 515

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დღესასწაულისა გამო შემდეგი №-რი გამოვა შაბათს, 4 თებერვალს.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

შაბათს, 4 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ნიკოლოზ ბესარიონის ძის **ღოღობერიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთ რძალი მისი **მარიამ მიხეილის ასული ღოღობერიძისა** და **ძმა სიმონ ბესარიონის ძე ღოღობერიძე.** დასაწყისი წირვისა 10 საათზე, პანაშვიდისა 12 საათზე. (1—225—1)

---

4 თებერვალს **ქ. თელავის საკრებულო ტაძარში** გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დეკანოზ მიხეილ ხელაშვილის მეუღლის

მარიამ ზაქარიას ასულ ხელაშვილისა და მისის ძის ნესტორის

სულის მოსახსენებლად, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ მათი **შვილები და მახლობელნი.** (1—1088—1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

ვლ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი.

ხუთშაბათს, 2 თებერვალს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად ცნობილი პიესა ჰაუპტმანისა:

დაძირული ზარი, დრამა-ზღაპარი 5 მოქმედ. თარგ. ინ-ანისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, დავითაშვილი, ვიქტორელი, პიერეტა, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: **ალექსი-მესხიშვილი,** არადელი, გუნია, გვარაძე, მატარაძე, მგალობლიშვილი და სხვ. ✦ ადგილების ფასი საბენეფისოა. **დასაწყისი საღ. 8 ს.**

(2.219.2) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ✦ **ქართ. დრ. საზოგ. ადმინისტ.**

ქართული თეატრი

შაბათს, 4 თებერვალს, 1912 წ. ელ. თარხნიშვილისა, მიხაილოვისა, ივ. სარაჯიშვილისა და ე. ბროჯის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

რიგოლეტო

ოპერა 4 მ. ჯუზეპე ვერდისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დირიჟორი **ნ. გ. ქართველიშვილი.**

ჩაწერილი ბილეთები შეინახება მხოლოდ დღეს (2 თებ.) საღამომდე. ადმინისტრაცია ქართულ დრამ. საზოგადოებისა. (2—228—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

კვირას, 5 თებერვალს, გ. იორდანაშვილი გამართავს

სალიტერატურო დილას სამს განყოფილებად:

I. **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე:

თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში.

II და III: **სცენები, სიმღერები, ლექსები, კუპლეტები** და **მოთხრობა. ქართველ მომღერალთა გუნდი ქულაჯებში გამოწყობილი გ. კაპანაძის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ სიმღერებს.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ნ. დავითაშვილი და ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ბ. ახოსპირელი, გ. ახრახაძე, ნ. გოცირიძე, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, გ. იორდანიშვილი, გ. იშხნელი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი და საგირაშვილი (დაუკრავს თარზე) დასასრულ ქ-ნი **ჩერქეზიშვილისა** და **თ-დი ციციშვილი გლეხურად იცეკვავენ ლეკურს.**

(3-220.2) ადგილების ფასი 5—50 კ.-დე. **დასაწყ. შუადღ. 1 ს.** გამგე **ი. ჟივიძ.**

ახალი კლუბი

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ გაგრძელება 29 იანვრის 1912 წ. **საზოგადო კრებისა,** კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა ასარჩევლად,

დანიშნულია ამა თებერვლის 2 დილის 12 საათზე. (1—1068—1)

ჭიდაობა თეატრი „მ ო დ ე რ ნ ი“, მიხეილის პრ., 91

მეშვიდე დღე საერთაშორისო ფრანგულ ჭიდაობისა, ბერლინის ატლეტიურ საზოგადოების ატლეტის **გ. გერიდტის** ხელმძღვანელობით. ყოველ სეანსის შემდეგ იჭიდავებს **ორი წყვილი.** დღეისთვის დანიშნულია საბოლოვო, გადამწყვეტი ჭიდაობა პეტერბურგის ცნობილ მოჭიდავისა **სპულანსა** და **შავ ნიღაბს** შორის. დღეს ჭიდაობა 12 საათზე დაიწყება. (1—1090— 1)

ტფილისის გუბერნიის

თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას მობრძანდნენ

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო საგუბერნიო კრებაზე,

რომელიც დანიშნულია

12 თებერვალს

შუადღის 12 საათზე, ტფილისის გუბ. თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა № 2). კრების საგანია: მოხსენება იმის თაობაზე, თუ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს **რომანოვთა გვარეულობის** სამასი წლის მეფობისა და 1912 წ. სამამულიშვილო ომის ასის წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულში. (3—1089—1)

პ. ს. დოროფეევის

მაღაზიები

ა) **უმთავრესი,** სოლოლაკის ქუჩაზე, სახლი გურგენოვისა, ტელეფონი № 583.

ბ) **იაროსლავის მაღაზია,** მიხეილის ქუჩა, ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, ტელეფონი № 838.

შაბათს, 4 თებერვალს, დაკეტილი იქნება რადგანაც

უდიდეს

იაფ-ვაჭრობისათვის

ემზადება

(2—1087—1)

ტფილისი

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 1½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ- ქალთ. ავ. (ქირურგ- გინეკ.)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 1½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 1½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—259)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.28)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

„სიკვდილი ჩრდილოეთში“

დრამატ. ეტიუდ. 1 მოქმ. **გადმოსახლებულ. ცხოვრებიდან ს. ერთაწმინდელისა.**

პიესა სცენაზე წარმოსადგენად ნებადართულია. ფასი 5 კაპ. გამყიდველებს დაეთმობათ 3 კ. ასობით მყიდველებს 2 მ. 50 კ.

ადრესი: ტფილისი, ჰავჭავაძის ქ., გრაკლის შესახვ. № 37. სახ. კანდარელისა, სოლომონს. (2.226.1)

სახალხო სამუსიკო დასაკრავთა ვაჭრობა

ი. ე. გუტკოსი და პ. ე. კოსარევისა

ტფილისი, ვერის დაღმართი, № 1.

გასაყიდად გვაქვს აუარებელი სკრიპკები, **შიგარჩევით,** ვიოლონჩელები, კონტრაბასები, გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ვენის გარმონები—პინჩენსკის სისტემისა და სარატოვის გარმონები. რადგანაც საქონელს პირდაპირ ქარხნიდან ვიღებთ და ბინის ქირადაც ბევრს არა ვხარჯავთ ჩვენი საქონლის ფასები მეტის-მეტად იაფია. იაფობა ყოველ მეტოქეობის გარეშე.

ყოველგვარი სიმები.

შეიძლება ფასის ნაწილობით გადახდა და საკრავების ქირით წაღება. აგრეთვე გვაქვს ყველა სამუსიკო საკრავთა სახელმძღვანელონი, ეტიუდები, კონცერტები და უდიდესი არჩევა **სანოტე ქაღალდისა.**

ვკისრულობთ ყველა სამუსიკო დასაკრავთა შეკეთებას. აქვე იკითხეთ გამოცდის მუსიკის მასწავლებელთა მისამართი. (10.1041.5)

ვასწავლი

ქართულ სიმღერა-გალობას

და ვადგენ ქართულ მომღერალთა გუნდს.

ორშაბათობით) 4 ს.—3 საათამდე.
ოთხშაბათობით)
შაბათობით . . .) 2 ს.—4 საათამდე.
კვირაობით . . .)

მიიღებიან მოწაფეებიც და მუშებიც, იკითხეთ მიხეილ კავსაძესთან. ავჭალის ქ. № 29. სამოქალაქო სკოლის შენობაში. (6—1080—4)

მიიღება ხელის-მოწერა ამა წლის 25 იანვრიდან 25 თებერვლამდე

ორიგინალურ თხზულება „როსკიპი“-ზე.

რომანი ორ ნაწილად თანამედროვე ცხოვრებიდან დაახლოვებით 360 გვ. **დ. კასრაძისა.** ფასი ხელის-მომწერთათვის 70 კაპ. წიგნის ხელის-მომწერლებს დაურიგდებათ მარტის დამლევს უსათუოდ. ხელის-მოწერა მიიღება: „ზაკავკაზსკაია რეჩი“-ს რედაქციაში ერასტი გორდელაძესთან და მოსკოვის ქ. სტამბა ლოსაბერიძისა დ. ნაკაიძესთან. გამომცემელი ასოთ-ამწყობთა ამხანაგობა „**სხივი**“. ფულის გამოგზავნა და წიგნების დაკვეთა ამ ადრესით: Тифлисъ. „Закавказская Рѣчь“ Э. Д. Гордeладзе. აგენტებს დაეთმობათ 20% (3—1601—3)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.14)

ხელის მოწერა ჟურნალ

წელიწადი მეოთხე. „მოსავალზე“ **წელიწადი მეოთხე**

მიიღება 1912 წლისათვის მარტო ტფილისში.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. ეღირება წლიურად 3 მანეთად. რედაქცია ეცდება შეძლებისდაგვარად უფრო ძვირფასი პრემია მიაწოდოს წლის თავზე ჟურნალის ხელის მომწერლებს. (3.1086.2)

ამ წლის პირველ თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

„ცხოვრება“

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მან.	ერთ თვით ქუთაისში	80 კაპ.
ნახევარი წლით	4 „	„ „ ქუთაისს გარეთ	90 „
სამი თვით	2 „ 50 კაპ.	საზღვარ-გარედ ერთი წ.	14 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაურად.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი	15 კაპ.
უკანასკნელ გვერდზე	10 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა	3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯულაყიძე.**

დროებითი ადრესი: Кутаисъ. Александровская ул. д. № 6. Савелію Трифоновичу Горгодзе.

ფული მიიღება **მხოლოდ** გორგოძის სახელზე. (7—1078—5)

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქუჩა, ქლენტის სახლი № 18).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, სიმღერა (solo) მუსიკ. თეორიისა, ნოტების კითხვის (solfegio), ჰარმონიის, ენციკლოპედიის და ხოროს კლასებში დაიწყება 2 იანვრიდან, ყოველ დღე (კვირა-უქმეების გარდა), დილის 10-დან 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოს, ვიოლონჩელის და კონტრაბასის კლასებში ღირს 60 მან. წელიწადში, სკრიპკის კლას. 60 და 75 მან. სიმღერა (solo) 75 მან. თეორეტიულ კლას. 15 მან. სწავლის ფასი, ნახევარის წლისა უნდა შემოტანილი იყოს წინდაწინ. (7.151.6)

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.** — მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 225)

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606 -

(წლ. 1090 265)

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 99)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 67).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა
ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—83)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—11 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—49).

ექიმი კბილისა
იოსებ ზაქარიას ძე
კანდელაკი
მიიღებს დილით **9-დან 2-მდის** და საღ. **4-დან 5-მდის.** სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. **№ 7.** (50--1552--32)

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე
იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, **№ 16, ტელ. 693.** (თ--1657--31)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.53).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—39).

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—86).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—16)

ქართული პრესა

საჭიროა და სასურველი ქუთაისში ცალკე ეთნოგრაფიულ საზოგადოების და მუზეუმის დაარსება თუ არა? ამაზე „კოლხიდა“ აი რას ამბობს:

> სულ უბრალო გამოცდილებამ დაგვარწმუნა—სადაც კი რაიმე ადგილობრივი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება აღმოცენდა, ყველგან ასეთი დაწესებულება **ადგილობრივ ინტერესებსაც ემსახურება და საერთო ქართულმა საქმემაც უფრო მოიგო ამით.** ეს ასეც უნდა იყოს. კულტურულ დაწესებულებათა თუ საქმეთა დაწყება პროვინციებში იწვევს სამოქმედოდ ისეთ ძალებს, რომელნიც უამისოდ მხოლოდ პოტენციაში არსებობს თავისთვის და სხვისთვისაც, და მაშასადამე, საერთო საქმისთვისაც გამოუსადეგარ მკვდარ ძალად რჩება.
>
> **ამ ძალებს თუ თავი მოუყარე, გაუძეხი, საქმეში ჩააბი,** დააინტერესე, ისინი მოძრაობაში მოდიან, სიცოცხლის შიშანწყალს იჩენენ, თავის თავსაც არგებენ და მოძმეებსაც ამხნევებენ, ახალისებენ ახალ იმედებს უნერგვენ.

კულტურულ დეცენტრალისაცია ბევრად უფრო გამოსადეგია ცენტრალიზაციაზე. ამას თვითეულ ჩვენებურ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულების მაგალითი ნათლად გვასწავლის.

ამიტომ, თუ მართლა დაარსდა ქუთაისში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოება პროვინციალურ მუზეუმით.

> ეს საქმეც ტფილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას სრულიად არაფრით ხელს არ არ შეუშლის, ხოლო საერთო ქართული საქმე, კვლავ ვამბობთ, მოიგებს ამით''.

ჩვენ-კი ეს აზრი შემცდარად მიგვაჩნია. საზღვარ-გარეთელ ქვეყნების მაგალითებს ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვსთ. ჩვენის აზრით, საქართველოს ისე ცოტა ჰყავს ისტორიულ-ეთნოგრაგიულ ნიადაგზე მომუშავე სპეციალისტები, რომ უამისოდაც სუსტ ძალების დაქსაქსვა საქმისათვის მხოლოდ მავნე იქნება. არას ვიტყვით **საზოგადოებაზე,** მუზეუმის შექმნა-კი არც ისეთი ადვილი საქმე გახლავსთ, როგორც ეს „კოლხიდას“ მიაჩნია. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია ადგილობრივ ორგანიზაციის შექმნა ეთნოგრაფიულ ნივთების და მასალების **საგროვებლად,** მაგრამ ამასთანავე ყველა შეგროვილ მასალის **ერთ ალაგას** თავის მოყრა, **ერთ მუზეუმში შეგროვება.**

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჟურნალი „უტრო-როსია“ ეხება რუსეთის დღევანდელს პოლიტიკურ ვითარებას და სწერს:

> ჩვენს სახელმწიფოში ცუდადაა საქმეო ამბობენ სათათბიროს დეპუტატები და ამასვე იმეორებს სულიერ თავისუფლებისა და გონებრივ შეუჩერებელ ევოლიუციის მომლოდინე ქვეყანა. ან კი როგორ შეიძლება საქმე კარგად იყოს ისეთ სახელმწიფოში, სადაც კანონიერ მოთხოვნაშიაც ,,კრამოლს'' ჰხედავენ.

გაზეთი იგონებს ამას წინედ სენატის განსაკუთრებულ შემადგენლობის, სხდომას რომელიც „დაშნაკცუტუნების“ საქმეს არჩევდა, ეხება, თავმჯდომარისა და ჟანდარმთა როტმისტრის შორის მომხდარ კონფლიქტს: სხდომის შეწყვეტის შემდეგ ნაფიცი ვექილები თავმჯდომარის ნებართვით ბრალდებულთ ებაასებოდნენ. დარბაზში მყოფმა ჟანდარმთა როტმისტრმა ბრძანება გასცა: „გასცხეთ იმას, ვინც ბრალდებულთან მივაო“. სენატორს კრივცოვს სენატის სხდომაზე განუცხადებია, ეს შეურაცყოფაა არა მარტო ვექილებისა, არამედ იმ დაწესებულებისაც, სადაც ეს ითქვაო. მან ბრძანეებაა გასცა, სასტიკად გამოეძიათ ეს შემთხვევა და დამნაშავე კანონის ძალით პასუხისგებაში მიეცათ. როტმისტრს განუცხადებია: სჩანს ვექილებს ვერ გაუგონიათ რა ვსთქვი, მე უბრძანე სხვების ცხვირ-პირის ჩამტვრევა კი არა არამედ თვით ჟანდარმებისა, ამ სიტყვებით: „ცხვირ პირს დაგამტვრევთ, თუ ნება მოიცით ვინმეს ბრალდებულთან კერძო საუბრისა“.

ამის გამო გაზეთი სწერს:

> გასაკვირველი არ იქნება, თუ როტმისტრს, რომელმაც სენატს შეურაცყოფა მიაყენა დასჯიან თვის ხელქვევით პირთათვის ცემით დამუქრების გამო, ხოლო ვექილებს კი წინადადებას მისცემენ, შემდეგ უფრო ყურადღებით მოისმინონ ჟანდარმთა ოფიცრების სიტყვები, როდესაც იგინი თვის ხელქვეითებს სახელმძღვანელო დარიგებას აძლევენო''.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ფრენა.** გუშინ დიდუბის საჯირითო მოედანზე ფრენა უნდა გამართულიყო, მაგრამ ისეთი დიდი ქარი ჰქროდა ქალაქში, რომ ფრენა აღარ მოხერხდა. ფრენა მოკლე ხანში გაიმართება.

✦ **ქალაქის სამიკროსკოპო სადგურს** 1911 წლის განმავლობაში 11,733 ღორისა და გოჭის ხორცი გამოუკვლევია. ამ ხნის განმაელობაში შემოსავალი ჰქონია 2,033 მან. 65 კაპ.

✦ დღევანდელ დღესასწაულის გამო გუშინ საღამოს წარმოდგენები და სხვა გასართობები ტფილისში არსად არა ყოფილა.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 31 იანვარს კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა მიწად-მოქმედებისა და მიწად-მომწყობის კანცელარიის მსახურმა ვასილ კონონენკომ. მოწამლული გარდაიცვალა.

✦ **შინაურ სადილების** გამყიდველთათვის ქალაქის გამგეობა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემას აპირობს.

✦ **რედაქციამ მიიღო სომხურ ეტნოგრაფიულ საზოგადოების** მიერ სომხურ ენაზე გამოცემული ამ ამ წლის პირველი კრებული (რიგით მე-21) კრებულში მოთავსებულია წერილები: პ. **თორამანიანისა, სამეულიანისა,** ე. **ლალაიანისა** (3), **ატრპეტისა, ტერ-ავეტისიანისა** და სხვა. კრებული მშვენივრად არის გამოცემული, დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე დასურათებულია და საშუალო ზომის 240 გვერდს შეიცავს.

კრებული წლითა ღირს (4 წიგნი გამოდის წელიწადში) რუსეთში 5 მან. საზღვარ-გარედ.—13 ფრანკი.

✦ **შურისძიება.** 31 იანვარს, საღამოს 8½ საათზე, შუ''ის მცხოვრები იუსუფ ფაგრატი ოღლი დაბახანის მისახვევში მცხოვრებს მამედქურბან ოღლის. სახლში მივიდა და ამ უკანასკნელს ჩხუბი აუტეხა. ჩხუბის მიზეზი ის გახდა, რომ მამედ ქუბან ოღლის შეურთავს იუსუფ ფაგრატან ოღლის ნაცოლარი გიულუზარ მამედ კიზი. ჩხუბის დროს იუსუფ ფაგრატან ოღლიმ დანით მუცელში მძიმედ დასჭრა თავისი მეტოქე და გაიქცა. დაჭრილის მდგომარეობა საშიშია. დამნაშავე შეიპყრეს.

✦ უკვალოდ დაიკარგა მიხეილ მიხეილის ძე ნევეროვი, 18 წლისა.

✦ 30 იანვარს ყაზბეგის ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით ერთის კვირისა. 31 იანვარს ნიკოლოზის ქუჩაზე 8 თვის ბავშვი (ქალი) იპოვეს. ამავე დღეს ანტონოვის ქუჩაზე იპოვეს ბავშვი, მამრობითის სქესისა, დაახლოვებით ორის კვირისა. ნაპოვნი ბავშვები ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

✦ 30 იანვარს ტფ. სასულიერო სემინარიის ეზოში ჩხუბი მოუვიდათ იქ მოსამსახურე ბიჭებს: პეტრე ხანჩენკოსა და არჩილ ფუნაშვილსა. უკანასკნელმა ხანჩენკო დანით მსუბუქად დაჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო

ცნობილი საქმე 1911 წლის 14 სექტემბერს **ციციანთ აღმართზე მომხდარ ტრამვაის ვაგონის დაქანების შესახებ** დანიშნულია განსახილველად ტფილისის საოლქო სასამართლოში 9 თებერვალს.

სამართალში მიცემულია უფროსი ვატმანი სიმბირცევი. უკანასკნელს ბრალსა სდებენ სისხლის სამართლის მე-1085 მუხლის ძალით.

ბრალდებულს დაიცავს ნაფიც ვექ. თანაშემწე **გ. ჟორდანია.** დაზარალებულთა ინტერესებს იცავს ნაფიცი ვექილი **ლაპინსკი.**

დაბარებულია 25-მდე მოწმე და ექსპერტი.

✦ 27 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე აზნაურ სოფიო ფურცელაძისა, რომელსაც ქურდობა ჰბრალდებოდა. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ იცნო. იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე გ. ჟორდანია. სასამართლომ გაამართლა ქ-ნი ფურცელაძისა.

ქუთაისი.

✦ **დარკვეთის სადგურზე** (ჭიათურის გზაზე) დღეიდან მოხდება ყოველგვარი საფოშტო ოპერაცია, ფულის გაგზავნის გარდა.

✦ **ლეჩხუმის სამაზრო სასამართლო** უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, დაბა ცაგერიდან დაბა ლაილაშს გადაიტანეს.

✦ ჭიათურიდან იტყობინებიან, რომ **ჭალის გზა გაფუჭებულია** და შავიქვის ზიდვა შეჩერდაო. შავიქვის საბჭოს ინჟენერი სთხოვს დაუყონებლივ გადაიდვას 500 მანეთი გზის შესაკეთებლად.

✦ 28 იანვარს ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო კომისიამ დაადგინა, ქალაქის **ახალი საავათმყოფო** გაიხსნას პირველ ივლისიდან; ქირურგიულ განყოფილების ორდინატორს წელიწადში 2000 მანეთი დაენიშნოს. ტერაპევტიული განყოფილების გამგე ექიმს 2000 მანეთი. ამ განყოფილების გამგემ უნდა იცოდეს ქართული ენა და მოწვეული იქნებს კონკურსით. ოპერაციების ფასი საავადთმყოფოში სრულიად უნდა მოისპოს. კომისიამ დაადგინა, შეიძინოს ქიმიკოს რომანოვისაგან ქიმიური ლაბორატორია 4300 მანეთად. იმ შემთხვევაში თუ ბ-ნი რომანოვი არ დასთანხმდება ამ პირობაზე, მოესპოს სუფსიდია, რომელსაც იღებს ქალაქისაგან.

✦ **წვრილ კრედიტის ინსპექტორი** თ-დი მიქელაძე გუშინ გაემგზავრა ქუთაისის მაზრაში, სხვა და სხვა სოფლის წვრილი კრედიტის დაწესებულება-თა სარევიზიოდ.

კოოპერაციის მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში

გამყიდველი კოოპერაცია.

(დასასრული).

თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება უხერხულ მდგომარეობაში აყენებს როგორც მწარმოებლებს, ისე მომხმარებლებს. მწარმოებელი სრულებით მოწყვეტილია მომხმარებლებისაგან; მათ შორის შუამავლობენ ვაჭრები. ამის გამო ერთის მხრით ზარალობენ მწარმოებლები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ვაჭრებისგან და მეორე მხრით—მომხმარებლები, რომლებიც ზედმეტს აძლევენ ვაჭრებს და ხშირად უვარგისს საქონელსაც ყიდულობენ. ყველა მიწის მუშას არ შეუძლიან შორეულ ბაზარზე თავის საქონლის გატანა; ამისთვის ხშირად იძულებულია იქვე მეზობლად მიჰყიდოს ჩარჩს და დაკმაყოფილდეს იმ ფასით, რომელიც ამ უკანასკნელს მოეპრიანება. მწარმოებელთა და მომხმარებელთა შეერთება-შეკავშირება ორივე მხარეს საშუალებას აძლევს თავი დაახწიონ ვაჭრების თავ-გასულობას. ამნაირად მწარმოებელთა ასოციაცია ხშირად იჭერს სხვა და სხვა საქმეს პირდაპირ მომხმარებელთა საზოგადოებასთან მათ საბოლოო შესაერთებლად საჭიროა როგორც ერთის, ისე მეორის მჭიდრო ორგანიზაციად შეკავშირება.

ამ ბოლო ხანებში სასოფლო-მეურნეობის ყველა დარგებში ცდილობენ დაარსონ გამყიდავი ამხანაგობანი. მართალია ამ გვარ ამხანაგობებს წინ ეღობებიან და ხელს უშლიან ვაჭრები, მაგრამ ისინი მაინც ვითარდებიან სხვა და სხვა ქვეყნებში.

1895 წელს დანიაში დაარსდა პირველი კოოპერაცია, რომელიც კვერცხებით ვაჭრობდა. ის მოწყობილია ამ ნაირად: კვირაში ორჯელ, ან სამჯერ კვერცხები იკრიბება წევრთა შორის. კვერცხზედ ინიშნება საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების და თვითონ წევრის ნომერი უკეთუ კვერცხი ძველი და უვარგისი აღმოჩნდება, იმ შემთხვევაში მისი პატრონი იხდის ჯარიმას საზოგადოების სასარგებლოდ. ასეთ ორგანიზაციების წყალობით დანიის კვერცხების ფასმა აიწია ბაზარზე. საერთო ღირებულობა დანიიდან ინგლისში გატანილ კვერცხებისა 1903 წელს უდრიდა 15 მილ. მანეთს. ამ ჟამად დანიაში არსებობს 365 ადგილობრივი საზოგადოება 22.000 წევრით. დანიის მსგავსი ორგანიზაციები დაარსდნენ სხვა ქვეყნებშიაც: ირლანდიაში, გერმანიაში და სხვაგან. დანიაში უკვე მოაწყეს ხორცის კოოპერატიული გამყიდავი საზოგადოებაც. 1907 წელს აქ არსებობდა ღორების დამკვლელი და მათი საზღვარ-გარედ გამტანი 27 ამხანაგობა 66.000 წევრით. ყველა ეს ამხანაგობანი გაერთიანებულნი არიან ცენტრალურ ასოციაციით კოპენ-ჰაგენში, რომელსაც მუდმივი კავშირი აქვს საზღვარ-გარეთელ ბაზრებთან და ხელმძღვანელობს მათ გატანას. თანდათან არსდებიან ამგვარი ამხანაგობანი გერმანიაშიაც. ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი სოფლის ნაწარმოები არის პური და ამიტომაც მისი გამტანი და გამყიდავი ორგანიზაცია დიდ სარგებლობას მოიტანდა. ასეთი ასოციაციები ამ ჟამად არსებობს ამერიკასა და გერმანიაში. მაგრამ ჯერ-ჯერობით დიდი მნიშვნელობა და გავლენა არა აქვთ მოპოვებული, რადგანაც ამ ქვეყნებში საზოგადო ამბარებით ინახავენ პურს იმ მიზნით, რომ ფასი ასწიონ პურზე.

კოოპერაცია მიწათ-მოქმედებაში.

სოფლის მეურნეობის პროცესიის არსებითად განხილვის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ მიწად-მოქმედების, განსაკუთრებით ხვნა-თესვის მსხვილ წარმოებას წინ ეღობება მრავალი დაბრკოლებანი. დასამუშავებელ მიწის სივრცის ზრდა შეიძლება განსაზღვრულ მიჯნებამდე, რადგანაც რამდენადაც იზრდება სივრცით დასამუშავებელი მიწა, იმდენად ძნელი ხდება მუშების თვალ-ყურის დევნება. ამიტომაც მიწად-მოქმედებაში კოოპერაციას ჯერ-ჯერობით ნაკლებად მოაქვს სარგელობა.

ამას ხელს უშლის კერძო მესაკუთრეობის ძლიერი გრძნობა და ინდივიდუალური მისწრაფებანი. ამ შემთხვევაში დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვთ სხვა გვარ სამეურნეო კოოპერაციებს. საგლეხო ამხანაგობანი საზოგადოდ ანვითარებენ სოლიდარულ გრძნობებს და მით ხელს უწყობენ გლეხებს მათ აღრზდ-გაკეთილშობილებაში. ამ ჟამად ჩვენ ნაკლებად ვამჩნევთ მწარმოებელთა ამხანაგობებს ხვნა-თესვაში. ზემოდ დასახელებულ მიზეზების გამო ხვნა-თესვის წარმოება მწარმოებელ ასოციაციების შემწეობით ჯერ-ჯერობით შეფერხებულია. ამ ჟამად მხოლოდ იტალიის რამოდენიმე პროვინციაშია განვითარებული ამ გვარი საამხანაგო წარმოებანი. იქ ორ გვარი ასოციაციები არსებობს: მწარმოებელთა შეერთებული ჯგუფი იჯარით იღებს დიდ მამულს პირდაპირ მემამულისგან და ანაწილებს მას წვრილ წვრილ ნაჭრებად თავის წევრთა შორის, რომლებიც თავისი ხარჯით ამუშავებენ მათ, ან და საიჯარო მიწას საერთოდ ამუშავებენ. პირველ გვარ ასოციაციებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ წვრილ მოიჯარადრეებისათვის, რომლებსაც წინანდელ დროს უდიერად ჰყვლეფავდენ დიდი მოიჯარადრეები. ესენი პირდაპირ მემამულისგან იღებდენ ერთიან მიწებს და შემდეგ მაღალ საიჯარო ფასებში აძლევდენ გლეხებს. ამხანაგობის დაწესების შემდეგ კი ეს შუამავალნი განიდევნენ. გარდა ამისა ასეთი ამხანაგობანი თავის წევრებს აძენინებენ გამანოყივრებელ პატივს, თესლს, მანქანებს და სხვას. ამიტომაც ამ გვარი ამხანაგობანი სწრაფად ვრცელდება; ისინი წარმოადგენენ გარდამავალ საფეხურს სხვა გვარ ამხანაგობის დასაარსებლად, სადაც მეურნეობას უკვე საერთო ძალღონით აწარმოებენ. 1905 წლის მიწურულში და 1906 დასაწყისში 70 ამ გვარი ამხანაგობა არსებობდა. მაგრამ ყურადღების ღირსნი არიან უფრო ის ამხანაგობანი, რომლებიც საერთო ძალ-ღონით ეწევიან მეურნეობას. ასეთი ამხანაგობანი არსებობენ ჩრდილოეთ იტალიაში. პირველი ამ გვარი ამხანაგობა დაარსდა 1902 წელს ს. ფაბრიკოში რედჟიოემილიას პროვინციაში. ეს საზოგადოება საიჯაროდ იღებს მამულს და მუშაობს საერთო ძალ-ღონით. საზოგადო მეურნეობას ზედამხედველობენ და განაგებენ საერთო კრება, ადმინისტრატიული საბჭო და სარევიზიო კომიტეტი. მიმდინარე საქმეთ განაგებს დირექტორი-ტეხნიკი, ბუღალტერი და კასირი. საზოგადოების წევრები მიწას საერთო ძალ-ღონით ამუშავებენ ამორჩეულ სტაროსტების ზედამხედველობით. მიწის ყოველგვარი მოსავალი ინახება საერთო კოოპერატიულ საწყობში და იყიდება ერთიანად. მაგრამ ამ გვარ ამხანაგობების მოქმედება ამით არ ისაზღვრება. მათ აქვთ სხვათა შორის თავის საკუთარი თვითონ წევრების მიერ აშენებული სახლები, კოოპერატიული ბანკი, რომელიც ეხმარება განსაკუთრებით გლეხების და მოქირავნე მუშების კოოპერატიულ ამხანაგობებს; ამ უკანასკნელ დროში საკუთარი კოოპერატიული რკინის გზაც კი გააკეთეს. ამ გვარ ამხანაგობებს ასეთი დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდათ, რომ ცალცალკე ემოქმედნათ.

კოოპერატიულ ორგანიზაციას კაპიტალისტურ საზოგადოებაში უხდება მოქმედება კერძო მყიდველ-გამყიდველებთან, ან კიდევ თავისივე მზგავს საზოგადოებებთან საქმის დაჭერა. ამისათვის ხშირად იძულებულია კაპიტალისტურ წესების და ვაჭრობის მიხედვით ფასები აუწიოს, საქონელი გააძვიროს და სხვა. მაგრამ ეს შემაფერხებელი დაბრკოლებანი ჰქრებიან მწარმოებელ და მომხმარებელ საზოგადოებათა მჭიდრო შეერთებით. ძნელია განისაზღვროს, თუ სად იწყება ამ ორ გვარ ასოციაციათა მოქმედება და სად თავდება. ამ ჟამად ზოგიერთი მომხმარებელი საზოგადოებანი საქონელს ზოგს თუ ყიდულობენ, ზოგს თვითონვე ამზადებენ თავის საკუთარ ქარხნებსა და მამულებში. ამ ნაირად ისინი მწარმოებელთა საზოგადოებას უახლოვდებიან და მას მოგვაგონებენ. მეორე მხრით მწარმოებელი საზოგადოებანი, როგორც ზევით დავინახეთ სხვა და სხვა მწარმოებელ კოოპერაციების განხილვის დროს, მარტო წარმოებით არ კმაყოფილდებიან და თავის წევრებს საქონლის გაყიდვაშიც ეხმარებიან. აქედან თავის თავად იბადება ამ ორი, ერთი შეხედვით სხვა და სხვა ორგანიზაციის, ერთ მჭიდრო ორგანიზაციად შეერთების საჭიროება. ყველა ასეთი ორგანიზაციები შეუმჩნევლად თანდათანობით დიდ ცვლილებას ახდენენ საქონლის გაცვლა-გამოცვლა და განწესრიგებაში. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ყველა არსებული ასოციაციები ცდილობენ დაიხსნან თავის წევრები შუამავალთა შეუბრალებელ კლანჭებიდან; ამ მიზანს აღწევენ ისინი მწარმოებლების და მომხმარებლების ერთმანეთთან დაახლოვებით და მათ შორის მჭიდრო კავშირის დაარსებით. კაპიტალიზმის გავლენა ხალხზე წარმოსდგება საქონლის გაცვლა-გამოცვლის და მისი განწესრიგების უვარგის ორგანიზაციაში. იმ დროიდან, რაც კი კაპიტალიზმი შეიჭრა მსოფლიო მეურნეობაში, მწარმოებლები და მომხმარებლები სულ უფრო და უფრო დაშორდნენ ერთი მეორეს, რამაც დაჰბადა შუამავალ-ვაჭართა კლასი.

არსებობისათვის სასტიკი ბრძოლა აიძულებს საზოგადოების ყველა კლასებს კარ-ჩაკეტილი, მხოლოდ პირადი ინტერესების დამაკმაყოფილებელი მეურნეობა აწარმოვონ. მეტი მოგების სურვილი აიძულებს ყოველ-გვარ მწარმოებლებს სხვა და სხვა კომბინაციები მოახდინონ, ყალბი საქონელი დაამზადონ, კონკურენციის წყალობით სხვა წარმოებანი დასცენ, გაანადგურონ და სხვა; აქედგან წარმოსდგება კრიზისები მთელი თავისი საშინელებით.

ამ ჟამად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სწრაფის ნაბიჯით ვითარდება ყველგან და ჩვეულებრივად კოოპერაციის დაარსებას წინ მრავალი დაბრკოლებანი ეღობება; საჭიროა დიდი მეცადინეობა და შეუ-

---

*) იხ. ,,სახ. გაზ.'' № 511.

✦ **წვრ. კრ. ინსპექტორმა თ. მიქელაძემ,** ნება დართო ამ დაწესებულებების სადგომებში მოათავსონ სოფლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რადგან ოპერაცია იმათი კვირაში ორჯერ ხდება და ისიც დღეში ორ საათს. ასეთი სამკითხველო-ბიბლიოთეკები უკვე მოათავსეს აბაშაში, სუჯუნაში (სენ. მაზ. და ერთიც შორ. მაზ. ასეთ შუამდგომლობას თ. მიქელაძე დიდი სიამოვნებით ხელს უწყობს და თანაუგრძნობს.

თ. მიქელაძეს განზრახვა აქვს სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსოს წვრილ კრედიტის საზოგადოება, რომელსაც შეეძლება ხელი შეუწყოს ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომლებისთვისაც ახლა ქუთაისში კრედიტი მოსპობილია თუ არა სხვა და სხვა თამასუქებზე ხელის მოწერით. როცა ეს მოეწყობა, ბევრს შეეძლება 300 მანეთამდე სესხი აიღოს სრულიად პატარა ნდობით.

✦ ხუთშაბათს, 2 თებერვალს **ჩვენს თეატრში** წარმოდგენილი იქნება მ. გორკის პიესა „უკანასკნელნი“ და ედმონდ როსტანის პიესა „რომანელები“ თარ. ლექსათ გუცასი. ეს წარმოდგენა რეჟისორის **მ. ქორელის საბენეფისოდ** იმართება. („კოლხ.“)

პროვინცია

✦ **დ. ხარაგოული** კვირას, 29 იანვარს, აქ გაიხსნა **სამკითხველო** და გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის გათავების შემდეგ სამკითხველოს გამგემ ბ-ნ პლატონ ლეჟავამ წაუკითხა დამსწრეთ ქ. შ. წ. კ. გ. ს. ზესტაფონის განყოფილების გამგეობის მიერ გამოგზავნილი მისალოცი დეპეშა. სიტყვა წარმოსთქვეს სერგო რუხაძემ და ნინო ლომსაძემ.

მისალოცი წერილი

ღრმად პატივცემულო
ქალბატონო მარიამ!

ნება მიბოძეთ ჩემი სულიერი მოთხოვნილება დავიკმაყოფილო და მეც მოგესალმოთ ამ მთელის ჩვენის ქვეყნისთვის დიდმნიშვნელოვან დღეს.

მაგონდება ის ნეტარი დრო, როცა 24—25 წლის წინად ტფილისის მუდმივმა დრამატიულმა დასმა სისტემატიური გასტროლები დაიწყო ქუთაისში. მე მოწმე ვარ თქვენის მაშინდელის შეუდარებელის ტრიუმფებისა. მთელი ქალაქი თქვენზე ლაპარაკობდა, ყველა თქვენის საკვირველის ნიჭით იყო აღტაცებული.

ხოლო ჩვენ, გიმნაზიის უფროს კლასების მოწაფენი, თქვენს სახელს ვლოცულობდით, რადგან თქვენ იყავით ღვთაება, რომელმაც პირველად აგვიძგერა გული ნამდვილ და წმინდა ესთეტიურის სიხარულით. საფაროვის ქალი—„ოფელია“, „ფაიხოშ“, „პარიზელი ბიჭი“, საფაროვის ქალი „ცელქებში“ და „ბნელ ოთახში“ ჩვენი სათაყვანებელი არსება გახდა, რომელიც სამუდამოდ ჩაგვებეჭდა გულში...

შემდეგში, როცა უფრო შეგნებული დავასკვნა შემეძლო, როცა უკვე ვნახე არა ერთი გამოჩენილი მსახიობი ჩვენი და რუსულ სცენისაც, თქვენ მაინც დარჩით ჩემთვის არტისტიულ ხელოვნების პირველხარისხოვან ვარსკვლავად.

დიდია თქვენი ღვაწლი სამშობლო სცენის წინაშე და მას არ დაივიწყებს ქართველი ერი, მაგრამ მე, პირადათ მე გმადლობთ და ათასჯერ გმადლობთ, ძვირფასო მარიამ, იმისთვის, რომ თქვენ პირველმა მაგრძნობინეთ ნამდვილ ხელოვნების ნეტარი სიტკბოება და იმისთვის, რომ თქვენ პირველმა აღმიგრძნეთ სიყვარული სამშობლო თეატრისადმი.

თქვენი სამუდამოდ დავალებული
გიორგი ლასხიშვილი.

წერილი პეტერბურგიდან

ახალი წლის დადგომისთანავე ჰაერიც გამოიცვალა. სიცივე თანდათან მატულობს და კვირას, 22 იანვარს, დილას 26°, შემდეგ 24° მივიდა. ამ ზომამდი წარსული წლის ენკენისთვიდან დაწყებული არ ასულა სიცივე. უკანასკნელით აიხსნება, რომ 22 იანვარი თავისებური იყო პეტერბურგში. ქუჩაზე ხალხი ნაკლებ დაიარებოდა, მარხილში ხომ არავის შეამჩნევდით.

ამ დღეს კი, ე. ი. 22 იანვარს დანიშნული იყო 1908 წელს გარდაცვლილ აკადემიკოს **ი. ს. თარხან-მოურავის ძეგლის კურთხევა.** განსვენებული დასაფლავებულია ალექსანდრე-ნეველის ლავრის ტიხვინის სასაფლაოზე.

იშვიათი სიცივე იწვევდა შიშს იმ ხრივ, რომ შესაძლო იყო არავინ დასწრებოდა კურთხევას. თითქოს ასრულდა ეს მოსაზრება: ჩემის მისვლისას სასაფლაოზე არავინ იყო მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადებული დრო გადასული იყო. ორის ნახევარზე მოულოდნელად მოვიდნენ განსვენებულის პატივისმცემელნი და ნათესავნი, რომელთაც მთლად გაავსეს ტიხვინის ეკლესია. დამსწრეთა შორის, გარდა მახლობელ ნათესავებისა, იყვნენ: პროფესორები და სტუდენტები, სამხედრო-მედიკური აკადემიისა, ქართველ-სათვისტომოს და ახალშენის წევრნი, პრესის წარმომადგენელნი და მრავალი სხვა. მათ შორის განსვენებულის ხსოვნას თავისი დასწრებით პატივი სცეს: სენატვონიმ, სენ. მეშჩანინოვმა, სტასოვმა, აკად. და გამოჩენილმა ფიზიოლოგმა პავლოვმა, პროფესორებმა ველიამინოვმა, ვართანოვმა, ოტტმა, სიროტონინმა, ავალიშვილმა, კრაკოვის უნივერსიტეტის რექტორმა ციბულსკიმ, სათათბიროს წევრებმა ბარ. მეიენდორფმა, ე. პ. გეგეჭკორმა, კარლო ჩხეიძემ, ექ. ნიკოლსკიმ და სხვათა. ძეგლის კურთხევას დაესწრო აგრეთვე გორის მაზრის ექიმი ვ. ელიოზიშვილი და ახალციხისა—ასათიანი.

პანაშვიდის შემდეგ დამსწრენი გაემართნენ სასაფლაოზე და ძეგლის კურთხევის შემდეგ პირველი სიტყვა წარმოსთქვა აკადემიკოსმა პავლოვმა. მხცოვანმა მეცნიერმა დაახასიათა განსვენებულის სამეცნიერო მოღვაწეობა და მნიშვნელობა, როგორც ფიზიოლოგისა. შემდეგი სიტყვა თქვა პროფცაბულსკიმ, ექ. ნიკოლსკიმ, პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა დაუფასებელი ღვაწლი განსვენებულისა სახალხო უნივერსიტეტის დაარსებაში და მოღვაწეობაში და გამოთქვა სინანული დიდ ბუნებოვან პიროვნების უდროვოდ დაკარგვისა გამო. გორის მაზრის თავად-აზნაურობის მონდობილობით სიტყვა თქვა პროფ. ავალიშვილმა, რომელმაც ასე დააბოლოვა: განსვენებული ი. ს. თარხან-მოურავი კულტურული მაჩვენებელთა იმისა, რომ პატარა ერსაც შეუძლიან დიად პიროვნების წარმოშობა. და ბოლოს ქართული სათვისტომოსა და ახალშენის სახელით ილაპარაკეს ალ. ჯაფარიძემ და პეტრე ქავთარაძემ. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, ბ-ნ ქავთარაძემ სიტყვა ქართულად წარმოსთქვა:

მრავალს საკულტურო დაწესებულებისაგან და საზოგადოებისაგან იყო გვირგვინი, მათ შორის, ქართველთა ახალშენისაგანაც.

ძეგლი მეტად კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს აზრითა და შესრულებით. მთავარ ალაგას გამოქანდაკებულია ი. ს. თარხან-მოურავი, მის ქვევით კი ქალწული,—განსახიერება სევდისა.

ვ—დი.

დრეკელობა, რომ ხალხმა დაინახოს მისი სარგებლიანობა და შეიგნოს მისი საჭიროება. როდესაც კი თვალსაჩინო ხდება მისგან მოტანილი ნაყოფი, მაშინ მთელი რაიონები იფინებიან კოოპერაციებით. საფრანგეთის ხალხმა, რომელიც ინდივიდუალიზმით იყო გამსჭვალული, დიდხანს ვერ შეიგნო მისი საჭიროება და ამიტომაც ფრანგი გლეხი ეჭვის თვალით უცქეროდა ამ ახალ საქმეს. ეხლა კი კოოპერაციამ მათშიც ღრმად გაიდგა ფესვები; ამ ჟამად იქ კოოპერაციის ახალმა ფორმამაც კი მოიკიდა ფეხი; მათ დაიარსეს კოოპერატიული პურის საცხობები, რომლის წყალობითაც ფრანგი გლეხის ქალი განთავისუფლდა პურის ცხობის მძიმე სამუშაოდან. ამ ნაირად კოოპერაციის დიდი მნიშვნელობა ყველასათვის ნათელი ხდება. როდესაც კოოპერაცია ანიჭებს წვრილ მეურნეობას მსხვილი წარმოების ყველა უპირატესობათ, ამით მას მიზნათ არა აქვს ამ წვრილი მეურნეობის დაცვა და შენახვა, როგორც ამას ფიქრობენ დავიდი, გერტცი, ჩერნოვი, ჩუაროვი და სხვები; პირიქით ის ამზადებს ნიადაგს მათ შესაერთებლად, ხელს უწყობს წვრილი ერთეულების გაერთიანებას. კოოპერაცია ანხორციელებს ამ მიზანს დიდის სიფრთხილით და თანდითანობით. პირველად ის ფეხს იკიდებს იქ, სადაც უზომო გაჭირვებაა; ჯერ კრედიტის საქმეში ვითარდება, შემდეგ გადადის სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგებში და ბოლოს მთელ წარმოებას და მოხმარებას იპყრობს. ის ჯერ ერთ სოფელში ჩნდება, შემდეგ მეორეში გადადის და ბოლოს მთელ ოლქებსაც ეფინება. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს კოოპერაცია ფაბრიკოში, რეჯჟიო ემილიას პროვინციაში.

ახალ-გაზრდა კოოპერაციას ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებანი დახვდება წინ თავის განვითარების გზაზე. ზოგი ერთი კოოპერაციები თვითონვე არიან კაპიტალიზმის იარებით დაავადებულნი. ამისათვის ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ გაარჩიოთ რომელი კოოპერაციაა კაპიტალისტური მისწრაფება-მიდრეკილებით და რომელი არა. ნამდვილი და ჭეშმარიტი კოოპერაცია ბევრი ნიშნობრივი თვისებით განსხვავდება ყალბ კოოპერაციისაგან; ამის განხილვა ამ ჟამად შორს წაგვიყვანდა და საგანსაც გზას აგვახვევინებდა.

რამდენადაც სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია ვითარდება, იმდენად ის სპობს შუამავალთა კლასს და უკავშირდება ქალაქის მომხმარებელ საზოგადოებათ; რამდენადაც ასეთი კავშირი მჭიდრო ხდება, იმდენად იწმინდება კოოპერაცია კაპიტალისტურ ცუდ მხარეებისაგან; ის სამეურნეო კოოპერაცია კი, რომელსაც კავშირი არა აქვს ქალაქის მომხმარებელ საზოგადოებასთან, ხშირად გლეხის სამუშაოსთან ერთად მაღლა სწევს საქონლის ფასსაც. ამ შემთხვევაში ქალაქის მომხმარებელი საზოგადოებანი ნებას არ აძლევენ ასეთ კოოპერაციას უმრავლესობის ჯიბით კოოპერატორ მწარმოებელთა მცირე ჯგუფი გამდიდრდეს და მუდმივი ზედამხედველობით თვალ-ყურს ადევნებენ მის მოქმედებას. აი ამისათვის საჭიროა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მჭიდრო კავშირი ქალაქის მომხმარებელ საზოგადოებებთან. ამ ჟამად ახლავე ეტყობათ მათ ამ გვარი ტენდენცია. მაგალითად დანიის კოოპერატიულ საქონლის გამსაღებელი ინგლისის მომხმარებელ საზოგაოებათა კავშირია, რომელიც მარტო ერბოს წლიურად სამ მილიონ გირვანქა სტერლინგისასა (სტერლინგი=9 მან. 45¾ კაპ.) ყიდულობს.

ამ ნაირად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დღითი დღე სწრაფად იზრდება, ვითარდება და ახორციელებს თავის საბოლოო მიზანს...

შ. გოგებაშვილი.

ხმა ოდესიდან.

წელს ოდესაში ქართველი სტუდენტობა, წარსულ წლებთან შედარებით, ნაკლებია. ეს გარემოება არც ისე საკვირველი იქნება, თუ მკითხველი გაიხსენებს „ნეტარხსენებულ“ ტოლმაჩევს და მისგან შექმნილ პირობებს. არც საკვირველია, თუ სტუდენტობა მაგრე რიგად არ ეტანება ოდესასა. ოდესის უნივერსიტეტი „მეცნიერების ტაძარს“ ნაკლებად ემსგავსება და ვინც იმას მოაკლდება, ბევრს არას დაჰკარგავს.

როგორც ყველგან, ქართველი სტუდენტობა აქაც ორ ბანაკად არის დაყოფილი. ერთი ბანაკი, სამწუხაროდ ძლიერ მრავალ რიცხოვანი, ბ. ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველოს“ ტიპებისაგან შესდგება, მეორე კი ცოტად შეგნებულ სტუდენტებისაგან.

თითქმის რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში მოიპოვება ქართველთა სათვისტომო. იგი ჰმართავს ხოლმე ქართულ საღამოებს, ეხმარება ღარიბ ამხანაგებს და შეძლებისამებრ ქართველ სტუდენტობას აერთებს; კითხულობენ რეფერატებს, იწერენ ქართულ გაზეთებსა და წიგნებსა.

ოდესაში ამის მსგავსი არა არსებობს რა. ოდესლაც კი ყოფილა ყველაფერი, მაგრამ, დროთა ვითარების გამო, გამქრალა. არსებულა სამკითხველოც, ეხლაკი მისი ხსენებაც არ არის. ან რაუნდა გაკეთდეს, როდესაც უმრავლესობა ჩვენის სტუდენტობისა ფუქსავატ ცხოვრებას ეწევა და თუ ამხილე როდისმე, არც მკლავაძეობას ითაკილებს.

ტოლმაჩევის გადადგომის შემდეგ ქალაქი ამოძრავდა, თითქოს სიცოცხლე დაეტყო, გზა გაეხსნა ყველა საკულტურო დაწესებულებათა მუშაობას. მაგრამ ქართველი სტუდენტობა ისევ სალათს ძილს მისცემია. ამას წინად თითქოს ქართული საღამოს გამართვა განიზრახეს. აირჩიეს კომისია, რომელსაც ქალაქის უფროსისაგან საღამოს ნებართვა უნდა აეღო. კომისიის წევრებმა ინახულეს ქალაქის უფროსი და ისიც დახმარებას დაჰპირდა. მაგრამ... გაჰქრა ხალისი მუშაობისა, ზოგმა რა მოიმიზეზა, ზოგმა რა და ყველამ ხელი აიღო საღამოს გამართვაზე. ამგვარად დასრულდა ქართულ საღამოს საქმე და ვინც იცნობს ოდესის ქართველ სტუდენტობას სრულიად არ გაუკვირდება საქმის ასეთი ბოლო.

ნ. გონაშვილი.

აი მართალი!

(ბ. დეგოთელის წერილის გამო).
(დასასრული *)

თუშებსაო—მოგვითხრობს ავტორი—„მთაში **მშვენიერი ქვითკირის** (ხაზი ჩემია. დ. ქ.) სახლები აქვთო“.. თუშებს მთაში **ქვის** სახლები აქვთ და არა ქვითკირისა. სახლების კედლები აგებულია მშრალი სიპის და სხვა ქვით და სრულებით არა აქვს დატანებული ან მოზელილი მიწა, ან კირი. სახლის კედლები **ყორებია** და სხვა არაფერი... მთაში ქვა უხვია, ტყე ცოტა, რითაც აიხსნება ქვის შენობები; სადაც ტყე უხვადაა, იქ ფიცრულის სახლებიც მოიპოვება...

არც ერთ თუშს არა აქვს ბანკში 3 ათასი, მით უმეტეს 5 ათასი თუმანი! საიდან იღებს ბ. დეგოთელი ამ **უტყუარ** ცნობებს!?.. არის ერთი-ორი თუში, რომლებსაც ექნებათ **ბანკში** 8000 მანეთი.

უფრო საგულისხმო ცნობას იძლევა ავტორი იმ შემთხვევის გამო, როდესაც თუში ირთავს არა-თუშის ქალს. იგი გადაჭრით ამბობს:

„შენი მტერი, თუ თუშმა გაბედა სხვა ქალის შერთვა. ამას (ვის — ქალს, თუ კაცს?) ხომ არც სახლში შეუშვებენ და აღარც მონათესავენი მიიღებენ“... თუში რომ თუშის ქალს ირთავს,—ეს მართალია; მაგრამ ნამდვილია ისიც, რომ გურული ირთავს უფრო გურულ ქალს, ხევსური-ხევსურისას, ქისტი-ქისტისას.... ასე რომ საზოგადო მოვლენიდან თუშის ქორწინების გამოყოფა შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამ გვარი ქორწინება (თუში ირთავს თუშის ქალს, ხევსური-ხევსურისას....) საინტერესო მოვლენაა, ხოლო იმ მხრით კი არა, როგორც ფიქრობს ბ. დეგოთელი. ამ ავტორის აზრით, თუში იმიტომ ირთავს თუშის ქალს, რომ ის (ქალი) მეტად ფაქიზია ზნეობით. მაშინ ხომ ფშავლის, ხევსურის, გურულის და სხვა ქალები ზნეობით ფაქიზნი არ უნდა იყვნენ, ვინაიდან ამათი მამაკაცები მიილტვიან ამათკენ. ამ ქალებს რაღას ემართლებით!... მე, რასაკვირველია, ამ ქალების პატიოსნების წინააღმდეგ არა მაქვს-რა.

არ შემიძლიან არ მოვახსენო ბ. დეგოთელს ორიოდე სიტყვა ქორწინების შესახებ. ქორწინება, როგორც სოციალური მოვლენა, შედეგია ამა თუ იმ სოციალურ წყობილებისა. არსებობს ეგრედ წოდებული ეგზოგამიური ქორწინება და ენდოგამიური. პირველი ხასიათის ქორწინება ერიდება ნათესაობას, ხოლო შეუღლება ხდება ან მარტო ერთ თემში, ან მონათესავე თემებში. ამ გვარ მოვლენას ვხედავთ ქართველ ერის სხვა-და-სხვა თემებში, უფრო მთიელებში. მეორე ქორწინება გულისხმობს ნათესავთა შეუღლებასაც; რასაკვირველია, აქ ნათესაობას საზღვარი აქვს დადებული. ამ გვარი ქორწინება ხდება ჩვენ მეზობელ ხალხში-თათრებში, სადაც აკრძალული არაა ალალი ბიძაშვილების შეუღლება: აი ეს ძველად დარჩენილი ჩვეულება აიძულებს თუშს შეირთოს თავისივე თემის ქალი... რაც შეეხება იმას, ვითომც თუშები ზიზღით უყურებდნენ იმ სხვა მხრის ქალს, რომელიც მათ ოჯახში შემოვა, ეს,—მეტი რომ არა ითქვას,—ცილის წამებაა....

თუშს აკრძალული არა აქვს ბარის ქართველი ქალი შეირთოს. ჩვენში რამდენიმე კაცია (ნასწავლი და უსწავლელიც), რომელთაც ცოლებად არა—თუში ქალები ჰყავთ. ამათ თუშები, მეტადრე მამაკაცები, დიდის თავაზით ექცევიან. ის-კი მართალია, რომ ჩვენ ქალებს არ ეჭაშნიკებათ, როდესაც ჩვენ ვირთავთ „უცხო“ ქალებს. „უცხო“ რძალს ყველაზე უფრო განზე გაურბის დედამთილი. ამას თავისი რთული მიზეზები აქვს, ხოლო ამის განმარტებას აქ აღარ გამოვუდგები...

ბ. დეგოთელის წერილი თუშების შესახებ კიდევ თხოულობს შესწორებას, მაგრამ—ვფიქრობ—ესეც კმარა იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რა მასალას გვაწვდის ავტორი თუშებზე. ბ. დეგოთელი ჭეშმარიტი მოწმეა იმისა, რომ ჩვენ, ქართველებს, ძალიან შეცდარი წარმოდგენა გვაქვს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებზე. მაშ იმას რა სჯობიან, რომ, რაც არ ვიცით, იმაზე არა ვწეროთ..

დ. ქადაგიძე.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

მუკდენი. პეკინიდან იუწყებიან, ჯაოერსუნმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა და შეიწყნარებენ კიდეცა ამ თხოვნასაო, მის მაგივრად გაამწესებენ შანის პროვინციის გენერალ-გუბერნატორ ჯანს. მუკდენის საზოგადოების წარმომადგენელნი მთავრობასა სთხოვენ, ჯაოერსუნს ნუ დაითხოვთო. ქალაქში დაბანაკებულ რაზმიდან წუხელის ლიაოიანისკე 12 კაცი გაიქცა. მოვიდნენ ბატონიშვილი ძაიტაო, ძაიცზო და სამხედრო მინისტრად ნამყოფი თელიანი, ისინი ჯაოერსუნს უნდა მოელაპარაკონ მონგოლეთისა და მანჯურიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების თაობაზე, ჯაოერსუნის ბძანების მიუხედავად, ჩჟანცზოლინი ყოველდღე ხალხს აპატიმრებს და სიკვდილითა სჯის. ინტელიგენცია და მოხელეები შიშით გარედ ვერ გამოსულან.

პეკინი. იუანშიკაის ახალი მთავრობის შედგენა მიანდეს და იმანაც მოხელეებისადმი მოწოდება გამოსცა. იუანშიკაი აღნიშნავს ამ საქმის სიძნელეს და დასძენს, ძალა ერთობაშიაო. ჯერჯერობით ყველა დაწესებულებანი ძველებურად იმუშავებენ, შემდეგ ჯარსა და პოლიციას მიჰმართავს, სახელმწიფოში წესრიგი დაიცავითო.

მუკდენი. ჯაოერსუნს გერმანელებისაგან ნაყიდი 16 ზარბაზანი, 3 ათასი თოფი და 500 ყუმბარა და მილიონი პატრონა მიუვიდა. სიჩუანის პროვინციის ქალაქი ჩენდუა დაიწვა.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

თავრიზი. ყარაჯაგიდა ბუგოკ-ხანის მეთაურობით გამოჩენილი ხანები მოვიდნენ და გენერალ-გუბერნატორს მორჩილება განუცხადეს. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით რუსეთის ქვეშევრდომთა ზარალის ასანაზღაურებლად 30 ათასი მანეთი მოგროვდა.

თეირანი. იარ-მუჰამედის 450 ფიდაიმ სალარ-უდ-დოულე დაამარცხეს და ქ. ქგარმანშაჰი აიღეს. ამბობენ, სალარ-უდ-დოულე ქურთისტანს გაიქცა, სადაც შაჰად ნამყოფის ემისარი მუჯალალი იმყოფება.

ქოი. ქოის რაზმის უფროს გენერალ ბოქშჩანინის რჩევით, აფიცრებსა და ჯარის კაცებისთვის აღმოსავლეთის ენათა კურსები დაარსეს. აფიცრები ისწავლიან თათრულსა, სპარსულსა და ოსმალურს, ჯარისკაცნი—ადერბეიჯანის სალაპარაკო ენას. ოსმალებმა ქოი-ურმიის გზაზე ათი ასკერი დააყენეს.

გაზეთებიდან.

სპარსეთის ვითარება.

სპარსეთი ბობოქრობს და ჰღელავს. ხან აქა და ხან იქ ძველ შაჰის, მაჰომედ-ალის მომხრეებს შეტაკება აქვთ მთავრობის ჯართან. შაჰის მომხრენი სერიოზულ ბრძოლას გაურბიან, მაგრამ შაჰსევანების პატარ-პატარა ჯგუფები თავზარსა სცემს. ეფრემ-ხანი ძალიან გაჯავრებულია და მთავრობას გადაჭრით განუცხადა, თუ ათის დღის განმავლობაში მაჰომედ-ალისთან მოლაპარაკებას არ გაათავებთ, შაჰის წინააღმდეგ გავილაშქრებ, ან სპარსეთიდან წავალ სადმეო.

ასე რომ მოხდეს, საქმე ძალიან ცუდად წავა. ეფრემის წასვლისთანავე ბახტიარები და ფიდაებიც მიატოვებენ სპარსეთსა და მთავრობა თავის მარჯვენა ხელს დაჰკარგავს. ეს ასეა, მაგრამ მთავრობასაც არ შეუძლიან ეფრემ-ხანს ნება მისცეს ბრძოლის დაწყებისა, რადგანაც ინგლისსა და რუსეთთანა აქვს მოლაპარაკება ძველი შაჰის თაობაზე.

მთავრობის ჯარი, ტაუს ახლო შუა-სალტანეს რაზმმა დაამარცხა. შუა-სალტანე სალარ-დოულესთან გაემართა, მაგრამ იარ-მაჰომედ-ჰანმა დაამარცხა სალარ-დოულე და სანესკენ გააქცია.

შუას ბევრი მოუკლეს და ბევრიც დაუჭრეს. მთავრობის ჯარს 50 კაცამდე დაუჭრეს. თვით შუა-სალტანე ეხლა ასტრაბადთან არის, მაჰომედ-ალის ახლო.

ამბობენ, ძველმა შაჰმა მაჰომედ-ალიმ თეირნის მთავრობას სთხოვა, პენსიით უზრუნველმყავით და სპარსეთიდან წავალო. იმასაც ამბობენ, ასეთი თხოვნა პეტერბურგიდან მოწერილმა ამბავმა აიძულაო. მაჰომედალის ურჩევენ თურმე, გაათავე ავანტიურა და სპარსეთს გაეცალეო.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

რომი „ჯიორნალე და იტალიამ,“ დაბეჭდილ წერილში აღნიშნა, რომ რუსეთი იტალია-ოსმალეთის ომის დროს მეგობრულად იქცევაო.

ბჭობის შემდეგ სან-ჯულიანო, ჯიოლიტი და კანევა ყველა საკითხებზე შეთანხმდნენ. [illegible] ლებას გადამწყვეტ... მნიშვნელობას აწერენ. კანევა [illegible] პოლს წავა.

მალტა. იტალიელთა საფოსტო გემი „ენნა“ მოვიდა და სამი შებორკილი არაბი მოიყვანა. ისინი უსტიკის ციხეში განსაკუთრებულ საკანში ისხდნენ, რადგან ტრიპოლიში შეიპყრეს და ღალატს აბრალებდნენ. ინგლისელებმა კაპიტანი აიძულეს ტყვეებისათვის ხუნდები აეხსნა. არაბები დროებით მალტაში დასტოვეს.

რომი. წუხელის იტალიელებს დერნაში ოსმალები ორჯერ დაეცნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ოსმალებმა ტობრუკშიაც დაუწყეს იტალიელებს სროლა, მაგრამ სიმაგრეებიდან ზარბაზნები დაუშინეს და უკუაქციეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)
1 თებერვალი.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. კაბინეთის ჩვეულებრივ კრებაზე ითათბირეს სამხედრო მინისტრის ბერლინში ჩასვლის გამო.

ბრიუსელი. გაზეთების სიტყვით, ბორინაჟის ოლქში მსროლელთა პოლკის 8 ჯარის-კაცი დაუპატიმრებიათ. მათ ბრალსა სდებენ, დემონსტრანტების წინააღმდეგ ენერგიულად არა ჰმოქმედებდითო.

ტოკიო. კუი-სუის კუნძულთან იაპონიის ორი გემი ერთმანეთს დაეჯახა. დაიღუპა 240 მგზავრი, 20 მეზღვაური და ფოსტა.

ლონდონი. მეფემ მიიღო სამხედრო მინისტრი ჰოლდენი. ბერლინს წასვლამდე მეფემ კვლავ ინახულა ჰოლდენი.

ბერლინი. თავისუფალ მოაზრეთა პარტიას თათბირი ჰქონდა, შეიძლება თუ არა პარტიის ინტერესებს თავი დავანებოთ და რეიხსტაგის პრეზიდენტის კანდიდატი წამოვაყენოთო. თუ პააშემ უარი სთქვა, მაშინ მის თანამდებობაზე კანდიდატიც უნდა წამოაყენონ.

რეიჰსტაგის სხდომა პირველად გახსნა ვიცე-პრეზიდენტმა სოციალ-დემოკრატმა შეიდემანმა.—ასეთი შემთხვევა პირველია რეიჰსტაგის ისტორიაში, სხდომას ყველა დეპუტატები და მინისტრები დაესწრო. ტრიბუნები ხალხით სავსეა. წაიკითხეს შპანის წერილი, რითაც იგი პრეზიდენტობაზე უარს აცხადებდა. ცენტრელებმა და მემარჯვენეებმა ტაშის ცემა ასტეხეს. სხდომა სულ 5 წუთს გაგრძელდა. პრეზიდენტის ახალი არჩევანი 1 თებერვალს მოხდება.

სან-რემო. სახალხო სკოლის მოწაფეები ზღვის პირას სეირნობდნენ, უცებ ნაპირი ჩაინგრა და 20 მოწაფე დაიტანა. დაიღუპა ხუთი, დაშავდა რვა.

ვენა. სამი დღეა ერენტალს არა უჭამია რა. ძალიან სუსტად არის.

რუსეთი.

რუსეთში საფრანგეთის სტუმრები.

მოსკოვი. პარიზის მუნიციპალიტეტის დეპუტაციამ გვირგვინებით შეამკო 1812 წელს მოკლულ ფრანგთა საფლავები ვედენის სასაფლაოზე. სტუმრებს 25 კორპუსის სახელით გენერალი ზახაროვი მიესალმა: დეპუტაციამ დოროგომილოვის სასაფლაოზე გვირგვინებით შეამკო 1812 წელს დახოცილ რუსების სამარე.

საფრანგეთის სტუმრებს ქალაქის გამგეობამ „მოსკოვის სასტუმროში“ სადილი გაუმართა. დალიეს სადღეგრძელო ხელმწიფისა და პრეზიდენტისა. დალიეს აგრეთვე სადღეგრძელო რუსეთისა და საფრანგეთის ხალხისა. წარმოდგენის დროს იმღერეს რუსული ჰიმნი და მარსელიოზა.

ნასადილევს სტუმრები ქალაქის გამგეობაში გაემგზავრნენ. სტუმრები ესტრადაში შეიყვანეს, სადაც რუსული ხელსაქმის ვერცხლის ყუთი იდგა. ქალაქის თავმა ყუთი მოსკოვის სახელით გადასცა და სიტყვით მიჰმართა. უპასუხა რუსელმა, რომელმაც სთქვა: პარიზს უკვე აქვს ერთი საჩუქარი თქვენგან კრონშტადში მიძღვნილი რომელსაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და რომელიც ორს ეროვნებას აერთებს. დასასრულ იმღერეს რუსული ჰიმნი და მარსელიოზა.

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა 114. 436. 072 მანეთს უდრის. პირველ-დაწყებითი სწავლებისთვის გადადებულია 60.209.166 მანეთი, ხარჯთ-აღრიცხვამ ხუთი წლის განმავლობაში ერთი-ორად გადიდებულა.

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 514.

კიევი. გენერალ-გუბერნატორმა 300 მანეთით დააჯარიმა კათოლიკე მღვდელი გრჟომილო და 100 მანეთით მასწავლებელი ქალი გურდაკი საიდუმლო პოლონურ სკოლის დაარსებისთვის; თუ ფული არ გადიხადეს პირველს ორის თვით, ხოლო მეორეს ერთის თვით დააპატიმრებენ.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ უარჰყო სათათბიროს 300 წევრის საკანონმდებლო მოსაზრება გაფიცვათა თავისუფლებისა. მიიღეს სათათბიროს საკანონმდებლო მოსაზრება ამიერ-კავკასიის ქალაქებისთვის საქალაქო დებულებათა ზოგიერთ მუხლის შეცვლისა. ცვლილება გამოიხატება რუსების ცალკე კურიად გამოყოფასა და საარჩევნო ცენზის შემცირებაში.

უცხოეთი

რუზველტი და პრეზიდენტის არჩევნები.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებისას ეხლანდელ პრეზიდენტს ტაფტს ვადა უთავდება და მეორედ არჩევის იმედი კი არ აქვს. მის წინააღმდეგ ამხედრებულან არამც თუ მემარცხენენი, კონსერვატორებიც კი. კონსერვატორებს ტაფტმა აწყენინა ფოლადის მწარმოებელთა ტრესტის დევნით. ამ ბოლო ხანს ამერიკის პრესა ბევრსა ლაპარაკობს რუზველტის კანდიდატობის თაობაზე. აბზობენ, გარდა რესპუბლიკელ-ორთოდოქსებისა, რუზველტს ხმას მისცემენ ინსურგენტებიო. ინსურგენტებს კანდიდატად ლაფელეტის წამოყენებით სურდათ რუზველტისთვის ნიადაგი მოემზადებინათო. ამ მხრივ საგულისხმოა ჩიგაკოს ერთ გაზეთში დაბეჭდილი ინტერვიუ რუზველტთან. აქამდე პრეზიდენტად ნამყოფი აცხადებდა, აღარა მაქვს საპოლიტიკო მოღვაწეობის სურვილიო. ეხლა კი ამბობს: არ მინდა პრეზიდენტობა მაგრამ თუ პარტიამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა, დავთანხმდებიო. რაც შეეხება იმას, ვითომც მესამეჯერ პრეზიდენტობა არ შეიძლებოდეს, ტყუილი შიშია, რადგანაც მეორედ პრეზიდენტობის შემდეგ სხვა იყო პრეზიდენტად. წარმომადგენელთა პალატაში წინადადება შეიტანეს რათი ერთ პირის მესამედ პრეზიდენტად არჩევა შეუძლებელი იყოს. პალატამ რუზველტის საწინააღმდეგო რეზოლუცია გამოიტანა და ის საკითხი კომისიას გადასცა.

შემოწირულობა

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას" შემოსწირეს.

1. ბ-ნმა **ტორჩილავამ**—ორი ძველი ფული. ეს შემოწირულობა „საზოგადოებას გადმოსცა „სახალხო გაზეთის" რედაქციამ.

2. ბ-ნმა მოსე ივანეს ძემ **თოიძემ**. ა) ძველი ყალამქრის სუფრა სპარსული წარწერებით, ბ) ყალამქრის ძველი საბანი, გ) მოზაიკიანი ძველებური ხის ყუთი, დ) სარკე-ყუთი ძველი სპარსული მოზაიკით, ე) პატარა სპარსული სარკე მოზაიკით, ვ) სპარსული ყალამდანი მოზაიკით, ზ) სამი ძველებური კლიტე ხევსურეთიდან, ც) რკინის ხაფანგი იქიდანვე, თ) თეთრი ყანთარი—თითბრისა და რკინისა, ი) სპილენძის ჩუქურთმიანი ტოლჩა, ია) სპილენძის ჩუქურთმიანი ჩაფი, იბ) ორი რკინის ჭრაქი, იგ) სპილენძის ჩუქურთმიანი კოჭრაში ლამბაქით, იდ) სპილენძის სპარსული ჩუქურთმიანი საფერფლე, იე) ორი თითბრის თმის-გასაყოფი, ივ) რკინის ხევსურული ეჩო, იზ) ფშაური ვერცხლის გულსაკიდი, იც) რკინის ისრის-პირი, ით) საზიარებელი თითბრის კოვზი ხევსურეთიდან, კ) ოცდა ექვსი ძველებური შავი ფული, კა) ფიგურებიანი ქაშანური გოზაური, კბ) ორი პატარა ჩინური ჭურჭელი ფაიფურისა, სურათებით, კგ) ქვის ჩინური პატარა კერპი, კდ) შვიდი სპარსული სურათი, კე) ძველებური სადაფი, კვ) ფერადებით ნახატი სურათი შიო მღვიმის მონასტრისა, კვ) იმავე მონასტრის სურათი ბერებითურთ.

3. მიხეილ და იაკობ სვიმონის ძეთა **ზედგინიძეებმა:** ა) მოზრდილი ზარი ქართულის წარწერით, განჯის გუბერნიის, ჯევანშირის მაზრის სოფელ დოვშალოდან, ბ) ერთი ოქროს ფული პაპისა, გ) ოცი სხვა და სხვა ვერცხლის ფული, დ) ოც და ცხრა შავი ძველებური ფული, ე) თითხის თოთხმეტი ჭურჭელი (საფლავიდან ამოღებული), მათ შორის ხუთი ძლიერ შესანიშნავი, ვ) სპილენძის ვიწრო-ყელიანი ჭურჭელი, ზ) ბრინჯაოს საყელური, ც) თეთრი ქვის ბუშტი, თ) ათონური ხელობის პატარა ხატი (ჩუქურთმიანი), ი) ჩუქურთმიანი ხის ჯვარი, ია) ისრის წვერი ობსიდიანისა და იბ) მძივები.

შემომწირველთ „საზოგადოების" საბჭო დიდ მადლობას სწირავს.

საზოგადოების მდივანი **ს. გორგაძე.**

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. სამშაბათს, 31 იანვარს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ნ. ეგოროვის თაოსნობით დაიდგა ქართული წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ წრის სცენის მოყვარენიც.

წარმოადგინეს ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" დ. ელიოზიშვილი ნათარგმნი.

ჩვენ ეს პიესა მრავალჯერ გვინახავს; გვინახავს თვით დახელოვნებული არტისტების თამაშიც, მაგრამ რა შედარებაა ამ საღამოს წარმოდგენასთან. ქ-ნ ოლ. ლეჟავამ მშვენივრად ჩაატარა ოლგა ნიკოლაევნას როლი, ბევრს ცრემლიც კი მოჰგვარა.

ბ-ნი მეტრეველი (გლუხოვცოვი) კარგი იყო, საზოგადოთ ეს სცენის მოყვარე არასოდეს არ უღალატებს ხოლმე ნაკისრს როლს...

არა უშავდარა აგრეთვე ციმაკურიძე (ევდოკია ანტონოვა) ნ. გოცირიძე (ონუფრი) და ნარს (ბლოხინი).

ჭანკატაძე აფიცრის როლში კარგი იყო; თავის პაწია მეეზოვეს როლი ბ-ნ გ. ანაშვილმა მოხდენილად შეასრულა. სალაყიასაც არა უშავდარა.

როგორც გავიგეთ, **ი. გრიშაშვილის** თაოსნობით ქ. ქუთაისში გაიმართება „საღამოს-მეჯლისი".

ჭიათურა. ხუთშაბათს, 2 თებერვალს, **ვაალიკო შალიკაშვილის საბენეფისოდ** წარმოადგენენ გორდინის **„სატანას"**.

21 იანვარს სოხუმის სამურიდის თეატრში **ელო ანდრონიკაშვილის** საბენეფისოდ წარმოადგინეს „ჰანნელე" ჰაუპტმანისა თარგ. შალვა დადიანისა და ვოდევილი „არივ-დარია". მეორე სეზონია რაც შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი სოხუმის სასცენო საქმეს ემსახურებიან. მშვენიერი იყო ქ-ნი ელო ანდრონიკაშვილი. საშინელი დრამა პატარა „ჰანნელეს" ტანჯულ სულისა და თანაც მშვენიერება ბავშვის ექსტაზისა, მისი ღიმილი, როდესაც მოჩვენებანი სინამდვილე ჰგონია. ისე კარგად გადაება ერთმანეთზე ტანჯვა სინამდვილე, მოჩვენება-სიზმარს, რომ ტირილ-ღიმილი დაჰბადა თვით საზოგადოებაშიაც. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ანგელოზების გუნდი გამოჩნდა.

ამ დღის წარმოდგენა მშვენიერი იყო დიდის დაკვირვებით და შეგნებით ჩაატარა მათხოვარა გეტას როლი ქ-ნმა ევ- წუწუნავამ მას. მხარს უჭერდა ქ-ნი კუხალეიშვილი. ანსამბლს არ არღვევდა ქ-ნი. ნ. გვაზავა. დედის აჩრდილი ტრაგიკული იყო. ქრისტეს როლში — მასწავლებელი პოტვალდი შალვა დადიანი ადგილზე იყო. ბ-ნი ფრანგულიანცი და ს. ცხომელიძე ნამდვილი სულით გაჟღენთილი სცენისადმი იყო, თერძი ბ-ნი კოსტა ბ. გრ. ერქომაიშვილი კარგი სცენის მოყვარეა მშვენიერი გრიმი ჰქონდა, მაგრამ მატერნის როლის სიძნელე ვერა სძლია. გვარიანი იყო ზეიდელ—ბ-ნი ვადაჭკორია. სხვები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. დიდი მადლობა ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილს, რომ არც ხარჯს დაერიდა, არც სიძნელეს და, ასეთი პიესა დაიდგა საბენეფისოდ.

ვოდევილმა მეტად ცოცხლად ჩაიარა და ბევრი აცინა საზოგადოება.

დიდის ავაციებით გათავდა წარმოდგენა. მობენეფისეს მიართვეს: ნოქრებისაგან საჩუქრად მშვენიერი ვერცხლის ბიუვარი—სცენის მოყვარეთაგან ოქროს ძეწკვი—რეალისტებისგან ვერცხლის ფიალები, ფარმაცევტებისგან—მთელი თხზულება მერეჟკოვსკისა, ქართველ ქალებისგან (56 მ.) ფულად „Рампа и жизнь"-ის კვიტანცია და რამდენიმე მშვენიერი ვერცხლეული. სიტყვა უთხრა ბ-ნმა კორტმა, ლექსი უძღვნა პოეტმა ზომლეთელმა, რომელიც შეეფერებოდა ქ-ნ ანდრონიკაშვილს.

დასასრულ ორმოცდა ათმა კაცმა ვახშამი გაუკეთეს სადაც მიმართეს როგორც ადამიანს და სთქვეს, რომ მშვენიერ მსახიობთან ერთად, მათ ჰყავთ მშვენიერი ადამიანი ელო.

დილის ექვს საათზე მობენეფისე სახლამდე მიაცილეს. **სტუმარი.**

სპორტი

თეატრი „მოდერნი"

ფრანგული ჭიდაობა. ჭიდაობა დაიწყო 26 იანვარს, პირველი საყურადღებო ჭიდაობა იყო ბურხანის და კორშუნოვისა. დასაწყისში ვითომ კორშუნოვი სჯობნის, მაგრამ ბოლოს უშველებელი ბურხანი ,,რიჩაგით" აქცევს კორშუნოვს 8 წუთში. არა ნაკლებ საინტერესო იყო ბატუევის და ფურსის ჭიდაობა. ეს ორი ახალგაზდა მოჭიდავეები საშინელის სისწრაფით ეცემიან ერთი-მეორეს და ათასგვარ ხერხებს ხმარობენ. ბოლოს ბატუევმა ,,ტურ-დე-ბრათი" სძლია თავის მოწინააღმდეგეს მე-16 წუთში. ლამ-ზი იყო აგრეთვე სტუდენტ დერნაუს და ლაბურენკოს ჭიდაობა. სადაც დერნაუ ბურთივით ათამაშებდა საწყალ უკრაინელს. 12 წუთში ბერნაუმ წააქცია ლაბურენკო. ორიოდე სიტყვა შავი ნიღაბის და სპულის ჭიდაობაზე; ამ ორ ფალავანის ჭიდაობა ფრიად საინტერესოა. შავი ნიღაბი—შუა ტანის კაცია, სამაგალითოდ განვითარებულ კუნთებით და მასთან ბუნებრივადაც ღონიერი, ჭიდაობის ტეხნიკა მშვენივრად აქვს შესწავლილი; სპული, სწორედ იმავე სიმაღლისა ზედმიწევნილი ტეხნიკი ფრანგულ ჭიდაობის და ძლიერ მარდი, სპული მუდამ გაბრთხილებით ჭიდაობს, და თითქმის მხოლოდ თავის თავს იცავს, მაშინ როდესაც შავი ნიღაბი გაშმაგებით ჭიდაობს, არ ერიდება არც ერთს ხერხს. ორჯელ იჭიდავეს, მაგრამ უშედეგოდ. **№№**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ь, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევნში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ საანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

თმის
საღებავი
კაკლის ექსტრაქტისა
თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპრშავად თავდებნი ვართ, რომ უვნებელია,

პარფ. № 4711. თევდ. მიულგენსი
მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი
დარ ● რიგა.
დაარს. 1792 წ.

ფასი ფლაკონისა 1 მან. 20 კაპ. 2 მან.
დიდი ფლაკ.
Метцль 352138.
(9—1536—6)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
,,606"—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ვ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.6)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა ,,606"-ით.
(100—1615—19)

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე. ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**
(თ. 1646.10)

დაიბეჭდა და იყიდება
ნ. ვ. აბრამიანის
შემდეგი შრომანი:
I
სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელო,
ნავთის მრეწველობისა და ნავთის ქარხნის წარმოებასთან დაკავშირებულ იტალიურ ორმაგ ბუღალტერიის სისტემით. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა ფასი 2 მ. 50 კ.
II
სარგებლის გამოსაანგარიშებელი
ტაბლიცა.
1—30 დღეში, ¼—12%-დე, ყოველგვარ თანხისა 1—10000 მანეთამდე.
მეორე გამოცემა, ფასი 85 კ.
III
ყველასთვის გასაგები ცნობათა წიგნი,
საბუღალტრო კურსების მსმენელ ქალ-ვაჟთა და კანტორ. მომუშავეთათვის, ფას. 30 კ.
ამ გამოცემათა საწყობი **ნ. აბრამიანის** საბუღალტრო კურსების ბინაზე, ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, № 22. ვინც პირდაპირ საწყობიდან ფასდადებით დაიბარებს, გადასაგზავნს არ იხდის. (10—193—7)

იჯარით იძლევა
[illegible]
ორთაჭალაში [illegible]
ბი" („დრუზია"). პირობების გაგება ტრამვაის კანტორაში შეიძლება.
(3—1084—3)

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(т. 1084.78)

რადგანაც ყველა მამულები, რომელიც ეკუთვნოდათ **თ-დ დავით ივანეს ძესა და ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავებს** (ლამისყანელთ), სოფ. ბაგინსა, ჩრდილისოფელსა, ფარნიანთ-კარსა, ქვემო-მაგინსა, ზემო-მაგინსა, გორგასა, საბარკლეთსა, ჯორთისსა, მესამე ბოსელთასა, ჭურთასა, ჭყუნეთსა, დადიანეთსა, ზოდეხსა, აბუთკარსა, თოხთასა, მახიარეთსა, ტაბაკნეთსა, ძველბამასა, ნავისხევსა და ჩიღოიანთკარსა, ტფ. **საოლქო სასამართლოს** 1910 წ. 14 ოქტომბრისა და 1911 წ. 12 მაისის **დადგენილებით**
გადავიდა სრულ საკუთრებად
სოვდაგარ იაგორ მარქარას ძე მზარეულოვის მემკვიდრეთა ხელში, ამის გამო ყოველგვარი ხელშეკრულება ამ მამულების თაობაზე ნამდვილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი დადებულია მზარეულოვების რწმუნებულთან, რომელიც ბინადრობს ტფილისში, **ელისაბედის ქუჩაზე** საკუთარ სახლში, № 5. (1—224—1)

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის მელანი
ტეხნო-ქიმიურ ამხ-სა
„ქიმიკოსი"
საწყობი და კანტორა: **მალაკნის ქუჩა,** № 16. (8.1058.5)

ვურჩევთ
ბირნჯის ჰიგიენურ
პუდრთა მეფეს
LA REINE DES POUDRES
სამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).
1900 წ. პარიზის ოქროს მედალი
პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.
„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია."
ХИМИЧЕСКАЯ С. ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРIЯ
მთავარი საწყობი:
ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.
(11—1295—9)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** ,,ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** ,,ნაკადულისა" მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** ,,ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій прос. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და ,,ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—24 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა 12.